საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება №6/12

ქ.თბილისი

"18" მაისი 2015 წ.

ფიქსირებული სადენიანი ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ინტერნეტის მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების და შემდგომ მისი განხორციელების მიზნით, შეიქმნასსამუშაოჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ანა ნაკაშიძე - კომისიის თავმჯდომარის კონსულტანტი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) რატი სხირტლაძე - კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი;

გ) ალეკო ღლონტი - კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

დ) რევაზ სვანიძე - კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;

ე) თეა ტყეშელაშვილი - კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

ვ) მარიამ სულაბერიძე - კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეცალისტი;

ზ) ქეთევან რეხვიაშვილი - კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეცალისტი;

თ) რომან ქურდაძე - კომისიის აპარატის რადიო სიხშირეთა მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულმა პირებმა უზრუნველყონ:

ა) ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;

ბ) ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამართლებრივი ნორმების პროექტის შემუშავება;

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

გ) ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტილების პროექტის შემუშავება;

დ) ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფის კოორდინაცია.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი;

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა);

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლისხეივანიმე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე